სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო
დადგენილება № 01-05-04/237

ქ. თბილისი 21 აგვისტო 2019

ტიციანო კამპორეზისათვის სტუ-ის საპატიო დოქტორის წოდების მინიჭების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „უ“ ქვეპუნქტის, და აკადემიური საბჭოს 2019 წლის 21 აგვისტოს №01-05-02/18 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. ბირთვული კვლევების ევროპული ორგანიზაციის (ცერნი) ექსპერიმენტულ კვლევებში განსაკუთრებული მიღწევების აღსანიშნავად, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტსა და ცერნს შორის სამეცნიერო თანამშრომლობის განვითარებაში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილისთვის, ცერნის პროფესორ ტიციანო კამპორეზის მიენიჭოს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის წოდება;
2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **ა. ფრანგიშვილი**

აკადემიური საბჭოს მდივანი **გ. სალუქვაძე**